საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება № 568

თბილისი „14“ 06 2018 წ.

„ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის სასკოლო სახელმძღვანელოებზე/სერიებზე გრიფირების გამოცხადებისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 27 ივნისის N575 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2018 წლის 07 ივნისის N676328 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის სასკოლო სახელმძღვანელოებზე/სერიებზე გრიფირების გამოცხადებისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 27 ივნისის N575 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის სასკოლო სახელმძღვანელოებზე/სერიებზე გრიფირების განაცხადის რეგისტრაციისა და სხვა ვადები ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

მიხეილ ჩხენკელი

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

დანართი

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის სასკოლო სახელმძღვანელოებზე/სერიებზე გრიფირების განაცხადის რეგისტრაციისა და სხვა ვადები

1. სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონული სისტემის მომზადება დასრულდეს 2017 წლის აგვისტოში.

2. **გრიფირების განაცხადის რეგისტრაციის ვადა:**

2.1 საბუთების წარდგენა - 2017 წლის 2-15 ოქტომბერი. მუსიკის საგნის V-VI კლასების სახელმძღვანელოების/სერიების შემთხვევაში - 2017 წლის 1-7 დეკემბერი;

2.2 სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტების წარდგენა - 2017 წლის 23 ოქტომბერი - 12 ნოემბერი. მუსიკის საგნის V-VI კლასების სახელმძღვანელოების/სერიების შემთხვევაში - 2017 წლის 16-20 დეკემბერი.

3. გრიფირების განაცხადის კანონმდებლობასთან შესაბამისობის **შემოწმების და ხარვეზის აღმოფხვრის ვადა:**

3.1 გრიფირების განაცხადის შემოწმება - არაუგვიანეს 7 სამუშაო დღე;

3.2 ხარვეზის გამოსასწორებლად განსაზღვრული ვადა - არაუგვიანეს 5 სამუშაო დღე.

4. **რეცენზირებისა და გრიფის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების ვადა** - არაუგვიანეს 2018 წლის 25 ივნისი.

5. **მოსაზრებების წარდგენისა და გადაწყვეტილების მიღების ვადა:**

5.1 მოსაზრებების წარდგენის ვადა - რეცენზირების შედეგების გაცნობიდან არაუგვიანეს 4 კალენდარული დღე;

5.2 მოსაზრებების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ვადა - მოსაზრებების წარდგენიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღე.